სამოქალაქო იდეა

ქართული ოცნების ანტიდასავლური პოლიტიკა - შესაძლებლობა ირანისთვის

როგორ იყენებენ ირანული კომპანიები საქართველოს, სანქციების გვერდის ასავლელად?



თბილისი,
აპრილი 2025

სარჩევი

დიპლომატიური კავშირების ინტენსიფიკაცია 2

ირაკლი კობახიძის ვიზიტები ირანის ისლამური რესპუბლიკაში 2

ეკონომიკური თანამშრომლობა "ქართულ ოცნებასა" და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის: ირანული ნავთობი საქართველოში 3

გრაფიკი #1: ირანიდან ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი 4

გრაფიკი #1: ირანიდან იმპორტის მაჩვენებელი 5

გრაფიკი #3: ირანიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტის მაჩვენებელი 5

გრაფიკი #4: ირანიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი 6

როგორ იყენებენ ირანული კომპანიები საქართველოს სანქციების გვერდის ასავლელად..... 9

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის სანქციები 12

აშშ-ის ვაჭრობისა და უსაფრთხოების ბიუროს სანქციები 13

აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის სანქციები 13

ირანთან დაკავშირებული ქართული ორგანიზაციები/ინდივიდები 15

ვინ არის თამაზ ჩადუნელის ბიზნეს პარტნიორი დალიბორ კოპი? 19

"ქართული ოცნების" საგარეო პოლიტიკის პარადოქსი: ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან პარტნიორობა აშშ-სთან უსაფრთხოების გადატვირთვის ფონზე 24

„ქართული ოცნების“ ანტიდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი ხელს უწყობს რეგიონში ავტორიტარული რეჟიმების გავლენის გაძლიერებას. ამ კონტექსტში გამონაკლისს არც ირანი წარმოადგენს. „ქართულ ოცნებასა“ და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის დიპლომატიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობა ფართოვდება.

გთავაზობთ ანგარიშს, რომელიც მომზადებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების ანალიზზე დაყრდნობით და ასახავს „ქართულ ოცნებასა“ და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის მზარდ კავშირებს.

ერთი ახალი ამბავი, 2 ივლისი, 2025 წელი;

წინამდებარე ანგარიშის გამოსაცემად გამზადების დროს, “ქართული ოცნება” მორიგ სკანდალში გაეხვია. ივანიშვილის რეჟიმის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე ხვთისიაშვილი თბილისში ირანის საელჩოში „ისრაელის რეჟიმის განხორციელებული თავდასხმისას დაღუპულ მოწამეთა ხსოვნისადმი“ მიძღვნილ ღონისძიებაზე მივიდა. ირანის საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხვთისიაშვილმა საელჩოში გახსნილ სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა და გამოთქვა სოლიდარობა ირანის მიმართ. მოგვიანებით, ისრაელის საელჩომ გაავრცელა განცხადება:

“იმ დროს, როდესაც დასავლეთი გმობს ირანის თავდასხმებს ისრაელის მშვიდობიან მოსახლეობაზე და მხარს უჭერს მისი ბირთვული და გენოციდური ამბიციების შეჩერების მცდელობებს, ღრმა იმედგაცრუებას იწვევს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის ხილვა. ეს მორალურად არასწორია“.

დიპლომატიური კავშირების ინტენსიფიკაცია: ირაკლი კობახიძის ვიზიტები ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

ბოლო წლებში „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური რიტორიკა საჯარო განცხადებების ფარგლებს გასცდა და ავტორიტარულ რეჟიმებთან ღია თანამშრომლობაში გადაიზარდა. „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი, ირაკლი კობახიძე, 2024 წელს ოფიციალური ვიზიტით ირანს ორჯერ ეწვია.

2024 წლის 22 მაისს, კობახიძე დაესწრო ირანის პრეზიდენტის, იბრაჰიმ რაისისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის, ჰოსეინ ამირ-აბდოლაჰიანის დაკრძალვის ცერემონიას. საყურადღებოა, რომ კობახიძესთან ერთად, ცერემონიას ესწრებოდნენ ჰეზბოლასა და ჰამასის ლიდერები. მოგვიანებით, 2024 წლის 30 ივლისს, კობახიძე დაესწრო ირანის ახალი პრეზიდენტის, მასუდ ფეზეშქიანის ინაუგურაციას.

ფოტოს აღწერა: ირაკლი კობახიძე იბრაჰიმ რაისის დაკრძალვის ცერემონიაზე.

სწორედ საინაუგურაციო ცერემონიაზე კობახიძეს „ერგო პატივი“ ჰამასის ყოფილ ლიდერ ისმაილ ჰანიესთანერთ კადრში მოხვედრილიყო.მეორე ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი კობახიძემ ირანის ახალ პრეზიდენტთან მასუდ ფეზეშქიანთან ოფიციალური შეხვედრაც გამართა.

საქართველოში ირანის საელჩოს ინფორმაციით, შეხვედრაზე კობახიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ორი ქვეყნის **„მაღალ მოტივაციაზე“** ურთიერთობების გაღრმავების მიმართლებით. გარდა პოლიტიკურ ურთიერთობებზე საუბრისა, მხარეებმა ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოების მნიშვნელობაც განიხილეს.

მოხარული ვართ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა სხვადასხვა სფეროებში წინ წავიდა, ასევე დღითიდღე იზრდება ხალხთა შორის კავშირები და თანამშრომლობა ირანისა და საქართველოს კერძო სექტორებს შორის.

ფოტოს აღწერა: ირაკლი კობახიძე ფეზეშქიანთან შეხვედრის დროს, 2024 წლის 30 ივლისი.

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა (საქართველოდან მთავრობის მეთაურის ბოლო ვიზიტი ირანში 2024 წლის 30 ივლისს განხორციელდა), პრაქტიკულად არ არსებობს ინფორმაცია ვიზიტის დროს განხილული საკითხების, მიღწეული შეთანხმებების ან კონკრეტულად დაგეგმილი ერთობლივი პროექტების შესახებ. „ქართული ოცნების“ მხრიდან ვიზიტის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და დახურული კომუნიკაცია ქმნის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ ბატონ კობახიძეს და მის კოლეგებსაც კარგად ესმით, რამდენად საზიანოა მსგავსი ვიზიტები საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის. სწორედ ამ მიზეზით, ისინი თავს იკავებენ შეხვედრების შინაარსზე საჯარო დისკუსიისგან. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მათთვის „სიკვდილი ისრაელს, სიკვდილი ამერიკას“ და მსგავსი შეძახილების ფონზე გადაღებული ფოტოები საჯარო სივრცეში გამოეფინათ.

ეკონომიკური თანამშრომლობა "ქართულ ოცნებასა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის: ირანული ნავთობი საქართველოში

პოლიტიკური თანამშრომლობის პარალელურად, საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვა მზარდია, მიუხედავად იმისა, რომ ირან-საქართველოს შორის ვაჭრობა უარყოფითი სავაჭრო სალდოთი ხასიათდება და ირანიდან იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება საქართველოდან ირანში ექსპორტს. მაგალითისათვის, 2024 წელს, საქართველოდან ირანში 36 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი გავიდა, მაშინ, როცა ირანიდან იმპორტი თითქმის 8-ჯერ მეტი იყო და შეადგენდა 285 მილიონ აშშ დოლარს (**იხ. გრაფიკი #1**).

გრაფიკი #1: ირანიდან ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებელი.



2020 წლიდან მოყოლებული, ირანიდან საქართველოში განხორციელებული იმპორტირებული პროდუქციის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზარდა. **(იხ. გრაფიკი #2).**

> თუ 2020 წელს ირანული იმპორტის მოცულობა 45 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი თითქმის ხუთჯერ გაიზარდა და 285 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია.
>
> 2021 წელს საქართველოში იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოცულობა, 2020 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 154 პროცენტით გაიზარდა და 3413 ტონას შეადგენს.

გრაფიკი #2: ირანიდან იმპორტის მაჩვენებელი.



ირანიდან საქართველოში ექსპორტის ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენს. ნავთობპროდუქტებს შორის კი, საექსპორტო პროდუქციის ძირითადი წილი მოდის ნავთობის კოქსზე, ბიტუმსა და ნავთობის გადამუშავების სხვა ნარჩენებზე (**იხ. გრაფიკი #3**).

გრაფიკი #3: ირანიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტის მაჩვენებელი.



2020 წლიდან მოყოლებული, ერთმნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია შეიმჩნევა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტში. თუ 2020 წელს ირანიდან 683 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი და ნავთობპროდუქტები შემოვიდა, 2024 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით გასამმაგდა და 2 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია (**იხ. გრაფიკი #4**).

გრაფიკი #4: ირანიდან ნავთობის და ნავთობპროდუქტების იმპორტი.



ფოტო 1

ფოტო 2

ფოტო 3

ფოტო #1, #2 და #3 *გადაღებულია საქართველოს ტერიტორიაზე, 2025 წლის მაისში. ფოტოზე ნაჩვენებია ირანული სატვირთო მანქანები, რომლებსაც ნავთობპროდუქტები შემოაქვთ საქართველოში.*

ირანულენოვანი წყაროების მიხედვით, საქართველოში ექსპორტის თვალსაჩინო მაჩვენებელი აქვს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა სამშენებლო მასალები, ნავთობქიმიური პროდუქტები, ბიტუმი და საკვები პროდუქტები.

ზემოთ მოცემული მონაცემების გათვალისწინებით, საყურადღებოა, რომ ირანული ნავთობის იმპორტის საკითხი საერთაშორისო საზოგადოების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ისლამური რესპუბლიკისთვის ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, ირანიდან საქართველოში ნავთობის ექსპორტის მზარდი ტენდეცია შემაშფოთებელია, რადგან, ცხადად მიუთითებს ისლამური რესპუბლიკისთვის ირიბ ფინანსურ მხარდაჭერაზე.

ფოტოს აღწერა: დონალდ ტრამპის პოსტი, Truth Social-ზე, 01/05/2025.

ირანული ნავთობპროდუქტებით ვაჭრობის საკითხმა, რა თქმა უნდა, აშშ-ის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ყურადღება მიიქცია. 1 მაისს, ტრამპმა სოციალურ პლატფორმა Truth Social-ზე გამოაქვეყნა პოსტი:

გაფრთხილება: !

"გაფრთხილება: ირანული ნავთობის ან ნავთობქიმიური პროდუქტების შესყიდვა დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს! ნებისმიერი ქვეყანა, ან პირი, რომელიც ირანიდან ნავთობის ან ნავთობქიმიური პროდუქტების ნებისმიერ რაოდენობას შეიძენს, დაუყოვნებლივ დაექვემდებარება მეორად სანქციებს."



საყურადღებოა, რომ ირანულენოვან ინტერნეტ-სივრცეში არაერთი სტატია მოიძებნება, რომელიც ირანელ ბიზნესმენებს საქართველოში ნავთობპროდუქტებისა და ნავთობქიმიური პროდუქტების ექსპორტთან დაკავშირებით პრაქტიკულ რჩევებს აწვდის. ერთ-ერთი მსგავსი კომპანიაა Sadra Tejarat Company, რომელიც უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას და ასევე, ნავთობქიმიური პროდუქტების ტრანსპორტირებას/ ექსპორტს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში.

ფოტოს აღწერა: Sadra Tejarat Company-ის ოფიციალური ვებ-გვერდი.

პოტენციური ექსპორტიორებისთვის და ბიზნესმენებისთვის ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, რომელსაც ირანულენოვანი ვებგვერდები ავრცელებენ, საქართველოში კომპანიის დაფუძნებაა. კერძოდ, ერთ-ერთი ირანული წყაროს მიხედვით, საქართველოში კომპანიის რეგისტრაციას თან ახლავს მთელი რიგი უპირატესობები: ირანის მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ წვდომა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებზე, ისარგებლონ გარკვეული საგადასახადო შეღავათებით და საქართველოში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად დააფუძნონ კომპანია კაპიტალის გარეშე.

نفت کوره ، قیر و برخی دیگر از
مشتقات نفتی از جمله کالاهای **صادرات از ایران به گرجستان** می باشد. برخی از محصولات کشاورزی نیز برای صادرات در نظر گرفته شده اند ،که در کشور گرجستان از طرفداران خاصی برخوردار خواهند بود. مصالح ساختمانی و همچنین برخی از لوازم های خانگی نیز از جمله محصولات صادراتی از ایران به مقصد گرجستان بوده اند.
شرایط صادرات از ایران به گرجستان
هر تجارتی در جهان منوط به رعایت برخی از مقررات می باشد. مقررات زیادی نیز برای این نوع از صادرات در نظر گرفته شده است. اگر شما به دنبال تجارت با کشور گرجستان هستید ،به شما پیشنهاد می کنیم در درجه ی اول در کشور گرجستان خصوصا در نواحی بندری آن ، اقدام به ثبت شرکت کنید. شما از این طریق می توانید تجارت بسیار آسانی را تجربه نمایید. با عمل ثبت شرکت شما می توانید در هزینه ها صرفه جویی چشم گیری را اعمال کنید . همچنین یک راه حل بسیار آسان برای سهولت در صادرات و واردات خواهد بود. برای ثبت شرکت در این کشور ، شما می توانید از طریق برخی وزارت خانه ها از جمله وزارت توسعه اقتصاد اقدام نمایید.

მაგალითისათვის, კომპანია Arad Branding-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ირან-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების შესახებ იძებნება სტატია, რომელშიც ხაზგასმულია საქართველოსთან ვაჭრობის უპირატესობები:

„მსოფლიოში ნებისმიერი ვაჭრობა დამოკიდებულია გარკვეული წესების დაცვაზე. ამ ტიპის ექსპორტისთვისაც მრავალი რეგულაცია არსებობს. თუ თქვენ გეგმავთ საქართველოსთან ვაჭრობას, გირჩევთ, რომ უპირველეს ყოვლისა, საქართველოში, განსაკუთრებით, პორტების მახლობლად, კომპანია დაარეგისტრიროთ. ამ გზით შეგიძლიათ მარტივად განახორციელოთ ვაჭრობა. კომპანიის რეგისტრაციის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ხარჯები მნიშვნელოვნად შეამციროთ. ეს, ასევე, იქნება ექსპორტისა და იმპორტის გამარტივების ძალიან მარტივი გზა.“ (წყარო 1)

ეს არის ერთ-ერთი ციტატა იმ მრავლობითი ინტერნეტ წყაროებიდან, სადაც ირანული კომპანიები დაინტერესებულ პირებს უზიარებენ რჩევებსა და გამოცდილებას, თუ როგორ გამოიყენონ საქართველოს ტერიტორია საკუთარი ბიზნეს ინიციატივებისთვის და სხვადასხვა მაქინაციური სქემებით, საერთაშორისო სანქციებს გვერდი აუარონ.

როგორ იყენებენ ირანული კომპანიები საქართველოს, სანქციების გვერდის ასავლელად

ირანი, რომელიც არაერთი საერთაშორისო სანქციის ქვეშ არის, მთელი რიგი სქემების გამოყენებით, მაინც ახერხებს მსოფლიო ბაზარზე ნავთობის გატანას. ამ თვალსაზრისით, საქართველოსთან თანამშრომლობის გაძლიერებას ისლამური რესპუბლიკისთვის სერიოზული მოტივაცია აქვს:

> **საქართველოს მეშვეობით და საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების გამოყენებით, თეირანს შეუძლია დაუკავშირდეს როგორც რუსულ და ჩინურ, ისე დასავლეთის ბაზრებს.**

საქართველო-ირანის თანამშრომლობის ბოლოდროინდელი დინამიკის გათვალისწინებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თეირანს თავისუფლად შეუძლია საქართველოს ტერიტორიის გავლით, საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლა. ამ ვარაუდს კიდევ უფრო ამყარებს ის სტატისტიკური მონაცემები და მტკიცებულებები, რომლებიც ორგანიზაცია „სამოქალაქო იდეას“ გუნდმა მოიპოვა.

2013-2024 წლებში ირანის მოქალაქეებმა საქართველოში 9300 კომპანია დაარეგისტრირეს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, მხოლოდ 2024 წელს საქართველოში 382 ირანული კომპანია დარეგისტრირდა, რაც 2020 წლის მონაცემთან შედარებით, დაახლოებით 150 %-იან ზრდაზე მიანიშნებს (**იხ. ცხრილი #5**).

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	2020	2021	2022	2023	2024	2025 (1 მაისის მდგომარეობით
სულ	**253**	**241**	**459**	**466**	**382**	**85**
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	228	188	360	298	175	41
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	1	0	0	0	0	0
ინდივიდუალური მეწარმე	22	50	98	168	206	43
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული	2	3	1	0	1	1

ცხრილი #5: 2020-2024 წლებში საქართველოში დარეგისტრირებული ირანული კომპანიები.

ირანულ ინტერნეტ-სივრცეში მრავლად მოიძებნება ბლოგები, რომლებიც საქართველოს ბიზნეს ინიციატივების დაწყებისთვის ხელსაყრელ ქვეყნად აღწერენ. მათი უმეტესობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს საქართველოს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ჰაბის პოტენციალს. გარდა ამისა, აღნიშნულ ბლოგებზე, ხშირად აღნიშნულია, რომ საქართველოში საქონლის ექსპორტირებისთვის საჭირო ლიცენზიების მიღება შედარებით მარტივია.

ჩვენი კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ირანულ ინტერნეტ-სივრცეში განთავსებულია არაერთი სტატია, სადაც ღიად არის აღწერილი თაღლითური სქემები, რომელთა საშუალებითაც, ირანელი ბიზნესმენები და ბიზნესის წარმომადგენლები საერთაშორისო სანქციებს უვლიან გვერდს. ამ ბლოგებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ ფაქტს, რომ საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება აქვს რამდენიმე ქვეყანასთან, მათ შორის - ევროკავშირთან, ხოლო „შეღავათების ზოგადი სისტემის“ ფარგლებში წვდომა აქვს ამერიკის ბაზარზეც. შესაბამისად, აღნიშნული სქემით ირანელ ბიზ-ნესმენებს შეუძლიათ თავიანთი პროდუქცია ჯერ საქართველოში, ქართულ ბაზარზე შეიტანონ, შემდეგ კი, პროდუქცია გადაფუთონ და საქართველოში წარმოებული პროდუქციის ეტიკეტით, მარკირების გზით მისი ექსპორტირება მოახდინონ ევროპულ ან ამერიკულ ბაზრებზე.

> საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ კანონის მიღებისა და ევროპაში ექსპორტირებული საქართველოში წარმოებული პროდუქციისთვის საბაჟო ტარიფების გაუქმების გათვალისწინებით, ირანელი ვაჭრებისთვის შეიქმნა ხელსაყრელი გარემო: მათ შეუძლიათ თავიანთი საქონელი საქართველოში შეიტანონ, შემდეგ საქართველო-ში შეფუთვითა და საქართველოში წარმოებული პროდუქციის ნიშნით, საბაჟო ტარ-იფების გადახდის გარეშე და კონკურენტულ ფასად, განახორციელონ მისი ექსპორტი ევროპაში და ამერიკაშიც კი. წყარო 2

“

ირანს ნამდვილად შეუძლია საქართველოსთან ვაჭრობის გზით ამერიკის მიერ ირანზე დანესებულ შეზღუდვებსა და სანქციებს გვერდი აუაროს და მსოფლიო ბაზარსა და სხვადასხვა პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობაზე წვდომა მოიპოვოს. ამასთან, საქართველოს ბაზართან მიმართებით ირანის მთელი ძალისხმევა ისაა, რომ საქართველოსთან ვაჭრობა თავისი ექსპორტიისა და იმპორტის მნიშვნელოვან მიმართულებად აქციოს. ირანსა და ქართველებს შორის კარგი სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და ტურისტული კავშირები მიანიშნებს, რომ ამ ორ ქვეყანას კარგი მომავალი ელოდება. საქართველოს ერთ-ერთი უპირატესობა, რომლის მეშვეობითაც, მას შეუძლია ირანი მსოფლიო ბაზარს დააკავშიროს, არის ის, რომ მას ვაჭრობის სფეროში აქვს ბევრი შეთანხმება ევროპასთან. ევროპასთან ვაჭრობა საქართველოსთვის ძალიან ადვილი და მომგებიანია. ამ შეთანხმების მეშვეობით, საქართველოსთვის ყველა ევროპულ და არაევროპულ ქვეყანასთან ვაჭრობის გზა გახსნილია. მაგალითისათვის, ევროპასთან, თურქეთთან, რუსეთთან, აზიეთთან და სხვებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები გულისხმობს, რომ საქართველოს შეუძლია, ქვეყანაში წარმოებული საქონელი, საბაჟო გადასახადების გარეშე, ამ ქვეყნების ბაზარზე გაიტანოს. [ნყარო 3](#)

აღსანიშნავია, რომ ირანულ მხარეს ოფიციალურადაც გაუკეთებია განცხადებები საქართველოს მეშვეობით ევროპულ ბაზარზე წვდომის შესაძლებლობის შესახებ, მათ შორის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების თანდასწრებით. მაგალითად, 2017 წელს, ირანის თანამშრომლობის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა, ალი რაბიეიმ, ირან-საქართველოს ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მეექვსე შეხვედრაზე განაცხადა:

> **საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობების გათვალისწინებით, საქართველო ირანული საქონლის ევროპაში ექსპორტისთვის ყველაზე შესაფერისი გზაა.**

საერთაშორისო სანქციების თავიდან აცილების მიზნით გამოყენებული თაღლითური სქემების გამო, ირანული კომპანიები პერიოდულად ექვემდებარებიან სანქციებს. გამონაკლისს არც საქართველოში რეგისტრირებული ირანული კომპანიები წარმოადგენენ, რომლებიც მსგავს ჩამონათვალში რამდენჯერმე აღმოჩნდნენ და დასანქცირდნენ:

2014 წელი, აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის სანქციები

დასანქცირდნენ ის ინდივიდები თუ ორგანიზაციები, რომლებიც გვერდს უვლიდნენ ირანის წინააღმდეგ დაწესებულ ამერიკულ სანქციებს და ხელს უწყობდნენ ტერორიზმსა და ირანის ბირთვული პროგრამის განვითარებას.

> სახაზინო დეპარტამენტმა დაასანქცირა შემდეგი ინდივიდები:
> - ფურია ნაიები,
> - ჰოუშენგ ჰუსეინფორი,
> - ჰოუშენგ ფარსუდეჰი.

> თავის მხრივ, სანქციები შეეხო ამ ინდივიდების მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანიებს:
> - Caucasus Energy
> - Georgian Business Development,
> - Great Business Deals,
> - New York Money Exchange.

2011 წელს, აღნიშნულმა პირებმა შეიძინეს სს „ინვესტბანკის“ აქციების 70 %. მოგვიანებით კი, მათ ქართული ბანკის მეშვეობით დაახლოებით 8 მილიონი აშშ დოლარის ტრანზაქცია განახორციელეს ირანულ ბანკებში (Bank Melli, Mir Business Bank, Bank Saderat და Bank Tejarat).

2019 წელი,
აშშ-ის ვაჭრობისა და უსაფრთხოების ბიუროს სანქციები

დასანქცირდნენ ის ორგანიზაციები თუ ინდივიდები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამერიკული წარმოების ალუმინის პროდუქციის ირანში უკანონო ექსპორტს.

სანქციები შეეხო 2008 წელს საქართველოში ირანელი ბიზნესმენების მიერ დაფუძნებულ კომპანიას, Georgia Pethrochemical and Aviatech.

2021 წელი
აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის სანქციები

დასანქცირდა 37 ორგანიზაცია, რომელიც ამერიკის საგარეო პოლიტიკური ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. კერძოდ, ეს კომპანიები ხელს უწყობდნენ (ან ცდილობდნენ, რომ ხელი შეეწყოთ) ამერიკული პროდუქციის ირანისთვის მიწოდებას, რაც, თავის მხრივ, ირანის კონვენციური იარაღების ან სარაკეტო პროგრამებისთვის მატერიალურ მხარდაჭერას წარმოადგენდა. მათ შორის აღმოჩნდნენ საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი კომპანიები:

- ROV Solutions
- SAEROS Safety ERO Company
- Gensis Engineering

იხილეთ ინფორმაცია თითოული მათგანის შესახებ:

ROV Solutions

კომპანია საქართველოში დარეგისტრირდა 2012 წელს, ხოლო, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის რეგისტრაცია, 2025 წლის 23 აპრილის მონაცემებით, გაუქმებულია. კომპანია რეგისტრირებული იყო პლ. იოსელიანის ქ. N 2-ში. კომპანიის დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელი ლევან კოტიაშვილი გახლდათ.

SAEROS Safety ERO Company

შპს საფეტი ე.რ.ო. კომპანი საქართველოში დარეგისტრირდა 2013 წელს, ხოლო საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის რეგისტრაცია, 2025 წლის 23 აპრილის მონაცემებით, გაუქმებულია.

საჯარო რეესტრის 2017 წლის ამონაწერის მიხედვით, შპს საფეტი ე.რ.ო. კომპანის დირექტორი იყო ირაკლი კოტიაშვილი, ხოლო კომპანიის წილების 100 %-ის მფლობელი ნინო ჯულაყიძე.

საყურადღებოა, რომ კომპანის დირექტორი ირაკლი კოტიაშვილი შპს ROV Solutions-ის დირექტორის, ლევან კოტიაშვილის შვილია, ხოლო ნინო ჯულაყიძე ლევან კოტიაშვილის მეუღლეა.

Gensis Engineering

კომპანია საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე არ იძებნება. თუმცა, აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, კომპანია საქართველოსა და თურქეთში არის რეგისტრირებული. კერძოდ, კომპანიის ქართული ფილიალი დარეგისტრირებულია იოსელიანის ქუჩა N2-ში. საყურადღებოა, რომ ზემოთ ხსენებული დასანქცირებული კომპანიებიც (Rov Solutions, SAEROS Safety ERO Company) აღნიშნულ მისამართზე იყვნენ რეგისტრირებულები (თბილისი, პლ. იოსელიანის ქ. N2, ბ. 6), რაც ცხადყოფს ამ სამი კომპანიის მიღმა არსებულ საეჭვო ქსელს.

აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის მიერ აღნიშნული სამი კომპანიის დასანქცირების შემდეგ, ლევან კოტიაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ამ კომპანიებში მას ჰყავდა პარტნიორი, სახელად „გოჩინ“, რომელსაც ჰქონდა ტურისტული სააგენტო. თუმცა, კოტიაშვილის თქმით, გოჩინი კომპანიების სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში „არ ჩანდა“.

ჟურნალისტის კითხვაზე, ამ კომპანიების მეშვეობით სრულდებოდა თუ არა უკანონო ქმედებები, კოტიაშვილმა აღნიშნა: „ალბათ, შეიძლება, იმათმა თუ რამე აწარმოეს ან გააკეთეს უჩემოდ ამ კომპანიებით, ეს არ ვიცი“.

ირანთან დაკავშირებული ქართული ორგანიზაციები/ინდივიდები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, დაფიქსირდა არაერთი პრეცედენტი, როდესაც ირანთან დაკავშირებულმა პირებმა საქართველოს ტერიტორია ისლამური რესპუბლიკის სასარგებლო ქმედებებისთვის გამოიყენეს. მაგალითად,

> 2024 წლის აპრილში, Wikilran[1]-მა გაავრცელა ინფორმაცია ირანის ნედლი ნავთობის გაყიდვების ხელშემწყობი 4 ქართული კომპანიის შესახებ. წყაროს მიხედვით, აღნიშნულმა ქართულმა კომპანიებმა ირანის ისლამური რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სააგენტოსგან (MODAFL) ნავთობი არაერთხელ შეიძინეს.

„ეს კომპანიები იმართება, მფლობელობაშია ან აფილირებულია ირანის მოქალაქეებთან, ან თავად MODAFL-თან“ (Wikilran). საქართველოში დაფუძნებული ხსენებული კომპანიების თეირანთან სავარაუდო კავშირები არ არის გასაკვირი, რადგან მათი ხელმძღვანელი და/ან წილების მფლობელი პირების ნაწილი სწორედ ირანის მოქალაქეები არიან.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას აღნიშნული ქართული კომპანიების შესახებ:

1 შპს GHATRAN PETROLEUM (ს/კ: 400052802)

MODAFL-თან სავარაუდო კავშირის მქონე კომპანია საქართველოში 2012 წელს დარეგისტრირდა. 2022 წლის ამონაწერის მიხედვით, კომპანიის დირექტორი ირანის მოქალაქე სეიედჯავად მოუსავია, ხოლო კომპანიის მესაკუთრეები არიან: საქართველოს მოქალაქეები - დავით შოშიტაშვილი (5 %), თამაზ ჩადუნელი (5 %), და ირანის მოქალაქეები - სეიედჯავად მოუსავი (80 %), სეიედამირჰოსეინ მოუსავი (10 %).

Wikilran-ის მიხედვით, შპს GHATRAN PETROLEUM დაკავშირებულია ირანულ კომპანია GHATRAN KAVEH OIL PETROLEUM-თან, რომელიც გადამუშავებული ნავთობპროდუქტების მწარმოებელი და ექსპორტიორია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ კომპანიასა და ირანის თავდაცვის სამინისტროს შორის პირდაპირი კავშირი არ დგინდება, Wikilran-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციის

1. Wikilran არის ირანიდან მიგრირებული პროფესიონალების გაერთიანება, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას ირანის ისლამური რესპუბლიკის მიერ საერთაშორისო სამართლისა და რეგულაციების დარღვევის შესახებ. ორგანიზაციის მიზანია რეჟიმზე საერთაშორისო ზეწოლის გაძლიერება. ორგანიზაცია ინფორმაციას იძიებს ღია წყაროების და ასევე, სხვა მოკავშირე ორგანიზაციების/ინდივიდების დახმარებით.

თანახმად, კომპანიას კონტრაქტი აქვს გაფორმებული დასანქცირებულ კომპანია Sahara Thunder -თან.[2]

ასევე, საყურადღებოა, რომ შპს Ghatran Petroleum-ის მეწილეებს საქართველოში არაერთი სხვა კომპანია აქვთ დარეგისტრირებული. ირანულ კომპანიასთან მათი კავშირები საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ მათ მიერ საქართველოში დაფუძნებული კომპანიებიც შესაძლოა გარკვეული სქემის ნაწილი იყოს. შესაბამისად, წარმოგიდგენთ შპს Ghatran Petroleum-ის მეწილე საქართველოს მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული კომპანიების ჩამონათვალს, რომელთა ნაწილს საეჭვო კავშირები აქვს იარაღის კონტრაბანდის ბიზნესთან.

შპს Ghatran Petroleum-ის 5 %-იანი წილის მფლობელი დავით შოშიტაშვილის სახელი 4 ქართულ კომპანიას უკავშირდება:

- შპს დათა (ს/კ 204960088; დარეგისტრირდა 2001 წლის 30 მარტს)

- შპს ქართული პაბი (ს/კ 405145105; დარეგისტრირდა 2016 წლის 13 აპრილს)

- შპს ინოვაციური ენერგოეფექტური ტექნოლოგიების საწარმოო კომპანია (ს/კ 406293201; დარეგისტრირდა 2019 წლის 25 ოქტომბერს)

- შპს ეკონომიკური მართვის განვითარების და დახმარების ფონდი (ს/კ 400018413; დარეგისტრირდა 2011 წლის 28 მარტს)

შპს ეკონომიკური მართვის განვითარების და დახმარების ფონდის მეწილეებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი. აღნიშნული კომპანიის ერთ-ერთი მეწილეა **გივი ბახტაძე (8.75 %), რომელიც საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის მამაა.** შეგახსენებთ, რომ მამუკა ბახტაძე, პრემიერობის პერიოდში თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით არაერთ შეხვედრას მართავდა ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენლებთან. მაგალითად, 2017 წელს, ბახტაძე შეხვდა ირანის ისლამური რესპუბლიკის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების მინისტრ აბას ახუნდის. შეხვედრაზე მხარეებმა ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის „ეფექტიანად გამოყენების საკითხები“ განიხილეს.

---

2. კომპანია Sahara Thunder ირანის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის სააგენტოს (MODAFL) ექვემდებარება. აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტის მიხედვით, კომპანია ასრულებს მნიშვნელოვან როლს ირანული უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებასა და რუსეთისთვის მიწოდებაში. კომპანია ხელმძღვანელობს ქსელს, რომლის მეშვეობითაც ირანული საქონელი მიეწოდება ჩინეთს, რუსეთსა და ვენესუელას.

აღნიშნულ კონტექსტში, მამუკა ბახტაძის[3] მამას, გივი ბახტაძესა და ირანის მოქალაქეების ბიზნეს პარტნიორს, დავით შოშიტაშვილს შორის არსებული პარტნიორული კავშირი აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ ბახტაძის პრემიერობის პერიოდში, ირანთან თანამშრომლობა შესაძლოა მხოლოდ ფორმალური შეხვედრებით არ შემოფარგლულიყო და რეალურად ფარულ ბიზნეს ინტერესებსაც მოიცავდა.

საჯარო სამსახურის ბიურო
თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია

სახელი, გვარი: **მამუკა ბახტაძე** #959716

თანამდებობის პირის დეკლარაცია შევსებულია: 23/03/2016

სამსახური, დაკავებული (ყოფილი) თანამდებობა:

სს-საქართველოს რკინიგზა, გენერალური დირექტორი

სამსახურის მისამართი, ტელეფონი: საქართველო, თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, 199555

დაბადების ადგილი, დაბადების თარიღი: საქართველო, თბილისი, 09/06/1982

თქვენი ოჯახის წევრების (მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი, (გერი), თქვენთან მუდმივად მცხოვრები პირი) მონაცემები

სახელი	გვარი	დაბადების ადგილი	დაბადების რიცხვი, თვე, წელი	ნათესაური ან სხვაგვარი კავშირი
გივი	ბახტაძე	საქართველო, ხონი	16/03/1945	მამა
მანანა	ნანიტაშვილი	საქართველო, თბილისი	09/02/1959	დედა

ფოტოს აღწერა: მამუკა ბახტაძის დეკლარაცია, 2016 წელი.

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ეკონომიკური მართვის განვითარების და დახმარების ფონდი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	400018413
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	28/03/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, დეპოს ქ., № 24
დამატებითი ინფორმაცია:	
სხვა მისამართი:	საქართველო, გარდაბანი, სადგური ველი, სოფელი გაჩიანი
ელ. ფოსტა:	georgianbitumen@yahoo.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01021000618, რამაზ გოგისვანიძე

მესაკუთრე	**წილი**
01021000618, რამაზ გოგისვანიძე	69.750000000%
01006011575, გივი ბახტაძე	8.750000000%
01024029673, ბონდო ფირანიშვილი	7.500000000%
64№2091498, , , დავით პაპუკაშვილი, რუსეთის ფედერაცია	10.000000000%
01009008101, დავით შოშიტაშვილი	4.000000000%

ფოტოს აღწერა: შპს ეკონომიკური მართვის განვითარების და დახმარების ფონდის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. მამუკა ბახტაძე 2017-2018 წლებში იკავებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის პოსტს, ხოლო 2018-2019 წლებში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე იმყოფებოდა.

შპს Ghatran Petroleum-ის 5 %-იანი წილის მესაკუთრე თამაზ ჩადუნელის[4] სახელი 7 ქართულ კომპანიას უკავშირდება:

შპს ტრანს ვეი ჯი (ს/კ 404864820; დარეგისტრირდა 2010 წლის 14 ივნისს; თამაზ ჩადუნელი მისი დირექტორი და 25 % წილის მფლობელია)

კომპანიის წილების 51 %-ს ფლობს ბორის მჭედლიძე, 24 %-ს კი, დავით ჩუტკერაშვილი. დავით ჩუტკერაშვილის შესახებ ღია წყაროებში იძებნება ინფორმაცია, რომ იგი მრავალი წლის მანძილზე იარაღს აწვდიდა სხვადასხვა დაჯგუფებებს, ისეთ კონფლიქტურ ზონებში, როგორებიცაა აფრიკა და ავღანეთი.

შპს არჯი (ს/კ 443857300; დარეგისტრირდა 2013 წლის 8 ივლისს; თამაზ ჩადუნელი კომპანიის 40 %-ის მფლობელია, ხოლო დანარჩენი 60 % ეკუთვნის სომხეთის მოქალაქე **ვრეჟი ოჰანიანს**)

შპს დ.მ.დ.ტ ჰოლდინგი (ს/კ 443867273; დარეგისტრირდა 2019 წლის 15 თებერვალს; თამაზ ჩადუნელი მისი დირექტორი და 50 %-იანი წილის მფლობელია, ხოლო კომპანიის დანარჩენი 50 % ეკუთვნის ჩეხეთის მოქალაქე **დალიბორ კოპპ-ს** (უფრო ვრცლად იხ. შემდეგი თავი) (610804/1775, 45214031)).

შპს თრინითი (ს/კ 406304306; დარეგისტრირდა 2020 წლის 10 მარტს, თამაზ ჩადუნელი მისი დირექტორი და 50 %-იანი წილის მფლობელია)

შპს მ.ტ.დ ჰოლდინგი (ს/კ 443870535; დარეგისტრირდა 2021 წლის 14 მაისს; მისი 100 %-იანი წილების მფლობელი თამაზ ჩადუნელია)

შპს ჯორჯიან ქომერს ინვესტ ენდ ლოჯისტიქს (ს/კ 402220486; დარეგისტრირდა 2022 წლის 30 მაისს; თამაზ ჩადუნელი კომპანიის 75 %-იანი წილის მფლობელია, ხოლო კომპანიის 25 % ეკუთვნის უცხოეთის მოქალაქეს, **სამი იუსსეფ მაატოუკს**)

შპს რ. ბალტიკ. კორპორატიონ (ს/კ 443872506; დარეგისტრირდა 2022 წლის 14 სექტემბერს; თამაზ ჩადუნელი კომპანიის 10 %-ის მფლობელია, ხოლო 90 %-იანი წილი ეკუთვნის ლიეტუვის მოქალაქე **ბილა ვიდმანტას**).

შპს გალერეა გვირაბი (ს/კ 202201786; დარეგისტრირდა 2002 წლის 18 ოქტომბერს; 2025 წლის მონაცემებით, კომპანიის მესაკუთრეები არიან ივანე მარტიაშვილი (59 %), დავით ფანჯაკიძე (25 %), გიორგი ხმალაძე (12.5 %), ნიკოლოზ ხმალაძე (12.5 %)).

4. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში თამაზ ჩადუნელი თამაზ მეჭიაურის პარტიის („თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“) მიერ ხაშურის და ქარელის მაჟორიტარ კანდიდატად იყო წარდგენილი.

2018 წლის ამონაწერის მიხედვით, შპს გალერეა გვირაბი ოპერირებდა სახელწოდებით "შპს კავკასიონი-იბერია". ამავე წლის 20 მარტის მონაცემებით, მისი დირექტორი იყო თამაზ ჩადუნელი, ხოლო მეწილეები იყვნენ ვახტანგ გვარამია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი), ვახტანგი ქუთათელაძე (საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი 1998-2001 წლებში) და ევგენი ხარბედია.

ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ აღნიშნულ პირებს შესაძლოა თანამდებობები არაკეთილსინდისიერად ჰქონდეთ გამოყენებული. კერძოდ, 2002 წელს "კვირის პალიტრამ" გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეხებოდა საქართველოს იმდროინდელ სახელმწიფო უწყებებსა და იარაღის ბიზნესის წარმომადგენლებს შორის შესაძლო ფარულ გარიგებებს. სტატიის მიხედვით, კომპანია შპს "კავკასიონმა", რომლის თანადამფუძნებლებიც ვალერი კონჯარია და ევგენი ხარბედია იყვნენ, იარაღის იმპორტისა და რეალიზაციის ლიცენზია სწორედ იმდროინდელი იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ვახტანგ გვარამიას დახმარებით მოიპოვა. ამავე პერიოდში, "შპს კავკასიონის" ინტერესებს ლობირებდნენ სახელმწიფო თანამდებობის პირები, ვახტანგ გვარამია და ვახტანგ ქუთათელაძე, რომლებიც ამ "დახმარების" სანაცვლოდ, იარაღის რეალიზაციით მიღებული მოგების 25-25 პროცენტს იღებდნენ.

მსგავსი წარსულის მქონე პირებსა და თამაზ ჩადუნელს შორის არსებული პარტნიორული კავშირი აძლიერებს ეჭვებს, რომ ჩადუნელი ირანულ კომპანიებთან თანამშრომლობის მიღმა, შესაძლოა კავშირში იყოს იარაღის კონტრაბანდაში ჩართულ პირებთანაც. ამ ეჭვებს ამყარებს ჩადუნელსა და იარაღის კონტრაბანდაში ბრალდებულ ჩეხეთის მოქალაქე დალიბორ კოპს შორის არსებული ბიზნეს პარტნიორობაც - ამ უკანასკნელს იარაღის კონტრაბანდაში მონაწილეობისთვის ბრალდება წაყენებული აქვს.

ვინ არის თამაზ ჩადუნელის ბიზნეს პარტნიორი დალიბორ კოპი?



Chtějí ho dostat do tepláků, tvrdí obhájce

Dalibor Kopp

Pavel Mokrý | 14. 8. 2007

BRNO - Dalibor Kopp může jít za mříže až na deset let. Žaloba jej viní z přípravy prodeje munice, kulometů a dalších zbraní do světa.

Pokud by šestačtyřicetiletému podnikateli Daliboru Koppovi vyšel podnikatelský plán, mohl se stát největším nelegálním vývozcem zbraní z Česka do ciziny. Z obchodu sice sešlo, ale i tak sedí obchodník z Pavlic na Znojemsku před trestním senátem brněnského krajského soudu.

Žaloba Koppa viní z přípravy prodeje milionů kusů munice a tisíců pušek, kulometů a dalších zbraní do několika zemí světa. Mimo jiné i do Iráku. Navíc chtěl podle žaloby dovézt z Ukrajiny společně s druhým obžalovaným, jedenasedmdesátiletým Jiřím Ondrouchem, zbraně za bezmála dva miliony dolarů.

“სამოქალაქო იდეამ” საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დაადგინა, რომ თამაზ ჩადუნელის კომპანიაშიმ, შპს დ.მ.დ.ტ, ჰოლდინგში ერთ-ერთი დირექტორი და მეწილე ჩეხეთის მოქალაქე დალიბორ კოპპია, რომლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი ამავე ამონაწერშია მითითებული.

ინტერნეტ-სივრცეში საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროების საფუძველზე დგინდება, რომ დალიბორ კოპპის სახელს არაერთი სკანდალი უკავშირდება:

> გავრცელებული ინფორმაციით, 1995 წელს იგი ჩართული იყო იარაღის კონტრაბანდაში. კერძოდ, მან კავშირები დაამყარა პალესტინის ექსტრემისტ ჯგუფთან, ჰამასთან, რომელთანაც მოლაპარაკებებს აწარმოებდა 25 000 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისა და 12 მილიონი ვაზნის მიწოდებასთან დაკავშირებით.
>
> 1995 წელს კოპპს მოლაპარაკებები ჰქონდა არაბ მოვაჭრეებთან საიარაღო მასალის ახლო აღმოსავლეთში ექსპორტთან დაკავშირებით. გარიგების დასაფარად, დალიბორ კოპპისგან საბრძოლო მასალა შეისყიდა იემენში და-ფუძნებულმა კომპანიამ, რომელმაც შემდგომში მასალა ერაყს მიყიდა.
>
> დალიბორ კოპსს, ასევე, ბრალი ედებოდა ყაზახეთიდან მარიხუანისა და ათასობით პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის იმპორტში.
>
> კოპი, ასევე, ეჭვმიტანილი იყო 2004 წელს ერაყში სამხედრო დაჯგუფებ-ებისთვის, მათ შორის ისლამისტი ტერორისტი ჯგუფებისთვის, იარაღების მიწოდებასა და ასევე, ლიბერიაში იარაღების გადაზიდვაში. ამის გამო, და-ლიბორ კოპსს ბრალი ჩეხეთში წაუყენეს. გამოძიების ფარგლებში, დადგინ-და, რომ მისი კომპანია არალეგალურად იყო ჩართული ვაზნის წარმოებასა და იმპორტში. თუმცა, გამოძიების დასრულებამდე, კოპი ქვეყნიდან გავიდა, რის შედეგადაც ჩეხეთმა მისი დაკავების შესახებ საერთაშორისო ორდერი გასცა.
>
> 2004 წლის დეკემბერში, ინტერპოლის მოთხოვნით, დალიბორი დააპატიმრეს ლიბერიაში გაეროს მისიის სამხედრო წარმომადგენლებმა და გადასცეს ლიბერიის ხელისუფლებას. თუმცა, მან ლიბერიის ერთ-ერთი ოფიციალური პირის დახმარებით, თავი დააღწია პატიმრობას და ინტერპოლის ოფიცრების ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ქვეყნიდან გაიქცა.
>
> ჩეხეთის რესპუბლიკამ სამართლებრივი დახმარებისთვის მიმართა ამერიკის ფედერალურ სასამართლოს 2005 წლის 8 ივნისს. სამართლებრივი დახმარების შესახებ მოთხოვნა ეხებოდა დალიბორ კოპპს, იოსეფ ონდრაუჩს, დანა ლი რიდს, ASC International-ს, Kopp Arms-სა და Spetstechnoexport-ს.
>
> 2008 წელს, ბრნოს რეგიონულმა სასამართლომ დალიბორ კოპპს, 1998-2004 წლებში საბრძოლო მასალით არალეგალური ვაჭრობისთვის, 4 წელი და 9 თვე მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთის სახით.

ჩეხი პოლიციის პრესსპიკერის, ბლანკა კოსინოვას, განცხადების მიხედვით: **„ისინი აგზავნიდნენ იარაღს აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ერაყში, ირანსა და ისრაელში“.**

2 შპს რაზი ოილ რეფინერი (Razi Oil Refinery, ს/კ: 439408687)

მეორე კომპანია, რომელიც Wikilran-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, MODAFL-თან საეჭვო კავშირშია ეჭვმიტანილი, საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს „რაზი ოილ რეფინერია“. 2017 წლის ამონაწერის მიხედვით, კომპანია დარეგისტრირდა 2017 წლის 13 ოქტომბერს. მას შემდეგ, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში კომპანიის შესახებ სხვა ამონაწერი არ იძებნება. კომპანიის დირექტორი და წილების 100 %-იანი მესაკუთრეა ირანის მოქალაქე, მეჰრდად ბეიქპოური.

ირანული ნავთობკომპანია Razi Oil Refinery-ის ოფიციალური ვებ-გვერდიდან ირკვევა, რომ საქართველოში დარეგისტრირებული შპს „რაზი ოილ რეფინერი“ მის შვილობილ კომპანიას წარმოადგენს.

ფოტოს აღწერა[5]: „საქართველოს ოფისის წარმომადგენელი, საქართველოს ოფისის დირექტორი ბატონი მეჰრდად ბეიქპოური

საქართველოს ოფისის მისამართი:
საქართველო, თბილისი, ნუცუბიძის ქუჩა, N 193

საქართველოს ოფისის ტელეფონის ნომერი: 0099532231931

საქართველოს მობილური ნომერი:
0095557547036 Georgia.management@razi-refinery.com

საქართველოს ოფისის რეგისტრაციის ნომერი (შპს რაზი): 439408687“.

3 შპს ბლუ ოილ ქომფანი (Blu Oil Company; ს/კ: 406251764)

მესამე კომპანია, რომელიც სავარაუდოდ MODAFL-თანაა დაკავშირებული, 2018 წლის ამონაწერის მიხედვით, საქართველოში დარეგისტრირდა 2018 წლის 16 ივლისს. კომპანიის დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელი საქართველოს მოქალაქე დოდო ჩალიგავაა. 2018 წლის შემდეგ, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში კომპანიის შესახებ სხვა ამონაწერი არ იძებნება.

5. ფოტო გადმოტანილია ირანული კომპანია Razi Oil Refinery-ის ოფიციალური ვებგვერდიდან.



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

გადაწყვეტილება # B18076471/3 (17/07/2018 17:47:31)

რეგისტრაციის შესახებ

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება #**B18076471** 17/07/2018 14:39:36 (განმცხადებელი: ამირ ფოროუზანდეჰსამანი/01291023348/), როშლილითაც მოთხოვნილია ამონაწერის მომზადება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
დასახელება: **შპს ბლუ ოილ ქომფანი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **406251764**

'საჯარო რეესტრის შესახებ' საქართველოს კანონის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს წესით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ::: მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2 ::: www.reestri.gov.ge



ფოტოს აღწერა: საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე ჩანს, რომ 2018 წელს, შპს ბლუ ოილ ქომფანის ამონაწერის მომზადების მოთხოვნით, საჯარო რეესტრს მიმართა ირანის მოქალაქე ამირ ფოროუზანდეჰსამანიმ. [6]

Wikilran-ის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, შპს „ბლუ ოილ ქომფანი" წარმოადგენს შუამავალ კომპანიას ირანის თავდაცვის სამინისტროს კომ-პანია Sahara Thunder-თვის და ხელს უწყობს ირანული ნავთობის ჩინეთში ექსპორტირებას. Sahara Thunder-სა და „ბლუ ოილ"-ს შორის ერთ-ერთ მიმოწე-რაში Sahara Thunder ღიად აღწერს ნავთობის ირანული წარმოშობის დამალვის გზას: სამი ირანული ხომალდიდან (Argo, Global Beauty, Harmony[7]) მიღებული ნავთობის გადატანა ხდება Dune[8] სახელწოდების გემზე. შემდეგ, ნავთობის ტრანსპორტირება ხდება Cathay Phoenix[9] სახელწოდების ხომალდით. შედეგად, ნავთობის ირანული წარმოშობის კვალი იკარგება და მისი ექსპორტირება ხდება ჩინეთში.

კომპანიის დირექტორი და წილების 100 %-იანი მესაკუთრეა საქართველოს მოქალაქე დოდო ჩალიგავა, რომლის სახელიც 7 ქართულ კომპანიას უკავშირდება:

---

6. ამირ ფოროუზანდეჰსამანის მიერ არის დაფუძნებული კომპანია შპს სარა ქარფეთ (ს/კ 430802679). კომპანიის წილების 50 %-ის მფლობელია ამირ ფოროუზანდეჰსამანი, 50 %-ის კი, საიედმოჰსენ სანაიე.

7. სამივე ხომალდი დასანქცირებულია აშშ-ის მიერ.

8. დასანქცირებულია აშშ-ის მიერ.

9. დასანქცირებულია აშშ-ის მიერ.

შპს ევროტურიზმი (ს/კ 428884950, დარეგისტრირდა **2018 წლის 31 ოქტომბერს;** დოდო ჩალიგავა მისი დირექტორი და წილების 50 %-ის მფლობელია)

შპს ჰარათ პეტრო (ს/კ 404561602, დარეგისტრირდა **2018 წლის 27 ივლისს;** დოდო ჩალიგავა მისი დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელია)

შპს პასკო კომპანი (ს/კ 428884479, დარეგისტრირდა **2018 წლის 25 ივლისს;** დოდო ჩალიგავა მისი დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელია)

შპს ავღან ოილ (ს/კ 406253058, დარეგისტრირდა **2018 წლის 27 ივლისს;** მისი დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელი დოდო ჩალიგავაა)

შპს ათენა (ს/კ 422433637, დარეგისტრირდა **2021 წლის 21 ოქტომბერს;** დოდო ჩალიგავა მისი დირექტორი და წილების 100 %-ის მესაკუთრეა)

შპს სეთარე (ს/კ 422441478, დარეგისტრირდა 2023 წლის 22 ნოემბერს, მისი დირექტორი და წილების 100 %-ის მფლობელი დოდო ჩალიგავაა)

2018 წლის მხოლოდ ივლისის თვეში დოდო ჩალიგავას მიერ 4 კომპანიის ერთდროულად დარეგისტრირება საკმაოდ საეჭვო გარემოებას წარმოადგენს. ეჭვებს აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ამ კომპანიების სახელწოდებების ნაწილი ირანული წარმოშობისაა (მაგალითად, შპს „ჰარათ პეტრო“, შპს „ავღან ოილ“). 2023 წელს დაფუძნებული კომპანია შპს „სეთარე“-ს სახელწოდებაც ირანული წარმოშობისაა (სეთარე - სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ვარსკვლავს).

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ირანულენოვანი წყაროს მიხედვით, დოდო ჩალიგავა სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის მიმართულებაზე. როგორც ჩანს, 2016 წელს ჩალიგავა ირანში იმყოფებოდა და იმ 41 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის იყო, რომლებიც კულტურისა და ისლამური ურთიერთობების ორგანიზაციის ხელმძღვანელს შეხვდნენ ირანში.

ფოტოს აღწერა:
დოდო ჩალიგავას ფოტო ირანულენოვან ვებ-გვერდზე.

4 შპს ენჯინ ოილ რიფაინერი (Engine Oil Refinery LLC, ს/კ: 406367934)

MODAFL-თან საეჭვო კავშირის მქონე მეოთხე კომპანიაა შპს „ენჯინ ოილ რიფაინერი“. 2022 წლის ამონაწერის მიხედვით, კომპანია საქართველოში დარეგისტრირდა 2022 წლის 17 ივნისს. მას შემდეგ, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში კომპანიის შესახებ სხვა ამონაწერი არ იძებნება. კომპანიის დირექტორი და წილების 100 %-იანი მესაკუთრე ირანის მოქალაქე ჰოსსეინ ბაკტაშია. Wikilran-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიაც ირანული ნავთობის გაყიდვის საეჭვო სქემაში მონაწილეობს.

აღსანიშნავია, რომ Wikilran-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მხოლოდ ოთხი ქართული კომპანიის ირანთან კავშირებს ეხება. თუმცა, ბოლო წლებში საქართველო-ირანის ურთიერთობების დინამიკის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ბაზარზე შესაძლოა ოპერირებდნენ სხვა ინდივიდები ან ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ირანის მოქალაქეებთან ან ირანულ სამთავრობო უწყებებთან.

“ქართული ოცნების” საგარეო პოლიტიკის პარადოქსი:

ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან პარტნიორობა აშშ-სთან ურთიერთობების გადატვირთვის ფონზე

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლების პოპულისტურ დაპირებებს შორის ერთ-ერთი ვაშინგტონთან ურთიერთობების „გადატვირთვის“ საკითხია. თუმცა, ჩნდება კითხვა: როგორ მოახერხებს „ოცნება“ ტრამპის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების „ახალი ფურცლიდან“ დაწყებას, მაშინ, როდესაც ამერიკისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოსთან აქტიურ დიპლომატიურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს აწარმოებს?

როგორც წინამდებარე ანგარიშში წარმოგიდგინეთ, “ქართულ ოცნებასა” და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ურთიერთობები დიპლომატიურ სპექტრს სცდება და აქტიურ სავაჭრო ურთიერთობებში გამოიხატება. ბოლო წლებში საქართველო ირანისგან სულ უფრო მზარდი რაოდენობის ნავთობპროდუქტებს იძენს. მხოლოდ 2024 წელს, საქართველოში შემოვიდა დაახლოებით 2 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რაც წინა წლების მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება.

როგორც აღინიშნა, საქართველოში ბოლო წლებში ირანის მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიების რაოდენობა იზრდება. ირანულ ინტერნეტ-სივრცეში მოიძებნება ცალკეული საკონსულტაციო კომპანიების ან ირანის მოქალაქეების ბლოგები და სტატიები, სადაც ღიად არის აღწერილი, თუ როგორ შეუძლიათ ირანულ ბიზნესებს საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით საერთაშორისო სანქციებისთვის გვერდის ავლა. მოცემულ ანგარიშში წარმოგიდგინეთ მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ქართული კომპანიებისა, რომლებიც, ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, თანამშრომლობენ ირანის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სააგენტოსთან.

ირანელი ბიზნესმენების მიერ საქართველოს ტერიტორიის მაქინაციური სქემებისთვის გამოყენება სიახლეს არ წამოადგენს. გასულ ათწლეულში, ამ მიზეზით, აშშ-ის მიერ საქართველოში რეგისტრირებული არაერთი კომპანია დასანქცირდა. თუმცა, ბოლო პერიოდში ირანსა და „ქართულ ოცნებას“ შორის განვითარებული ინტენსიური დიპლომატიური ინტერაქციები, სულ უფრო ხელსაყრელ გარემოს ქმნის იმ ინდივიდებისთვის/ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებიან.

აღსანიშნავია, რომ “სამოქალაქო იდეამ” ამ კვლევის ფარგლებში გამოავლინა რამდენიმე საყურადღებო პრეცედენტი, რომელიც მოწმობს, რომ ირანის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებულ კომპანიებთან დაკავშირებული არიან საქართველოს და/ან სხვა ქვეყნის მოქალაქე პირები, რომლებიც იარაღის კონტრაბანდაში არიან ჩართულნი. მაგალითისათვის, ირანის მოქალაქეების ბიზნეს პარტნიორი თამაზ ჩადუნელი თანამშრომლობს ჩეხეთის მოქალაქე დალიბორ კოპპთან, რომელიც, თავის მხრივ, წლების წინ იარაღს აწვდიდა ჰამასსა და სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებს. მსგავსი ფაქტები ცხადყოფს, რომ საქართველოში ბიზნეს გარემო სულ უფრო გაუმჭვირვალე და კრიმინალური სქემებისთვის ხელსაყრელი ხდება.